

**სააქციო საზოგადოება „თელასი“
ეკოლოგიური პოლიტიკა
ISO 14001:2015**

ქ. თბილისი

2022წ.


სარჩევი

1.	ტერმინები და განსაზღვრებები	3
2.	ზოგადი დებულებები.....	5
3.	დანიშნულება და გამოყენების სფერო.....	5
4.	ეკოლოგიური პოლიტიკა - ძირითადი დებულებები	6
5.	სს „თელასის“ ეკოლოგიური პოლიტიკის მიზნები.....	6
6.	დასკვნა	8

1. ტერმინები და განსაზღვრებები

ტერმინები	განსაზღვრება
საზოგადოება	სს „თელასი“
გარემო	გარემო, რომელშიც ფუნქციონირებს საზოგადოება, მათ შორის, ჰაერი, წყალი, ბუნებრივი რესურსები, ფლორა, ფაუნა.
ეკოლოგიური პოლიტიკა	<p>საზოგადოების ხელმძღვანელობის ოფიციალური განცხადება, რომელშიც ასახულია საზოგადოების ძირითადი განზრახვები და საქმიანობის მიმართულებები თავისი ეკოლოგიურ რეზულტატიურობასთან (ეფექტიურობასთან) დაკავშირებით.</p> <p><i>ეკოლოგიური პოლიტიკა წარმოადგენს საფუძველს მიზნების და ეკოლოგიური ამოცანების დასახვის მიზნით.</i></p>
ეკოლოგიური მიზანი	სამოქმედოდ ზოგადი ეკოლოგიური ამოცანა, რომელიც ეთანხმება იმ ეკოლოგიურ პოლიტიკას, რომლის მიღწევა გადაწყვიტა ორგანიზაციამ.
ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემა (ემს)	მართვის საერთო სისტემის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია საზოგადოების ეკოლოგიური პოლიტიკის შესამუშავებლად და რეალიზაციისთვის, ასევე დაკისრებული ვალდებულებების მისი ეკოლოგიური ასპექტების სამართავად, რომელიც ითვალისწინებს რისკებსა და შესაძლებლობებს.
ეკოლოგიური ასპექტი	ორგანიზაციის საქმიანობის, მისი პროდუქციის, მომსახურების ელემენტი, რომელიც შეიძლება ურთიერთქმედებდეს გარემოსთან. მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ასპექტი ზეგავლენას ახდენს ან შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს გარემოზე.
გარემოზე ზემოქმედება	ნებისმიერი ცვლილება გარემოში, უარყოფითი ან დადებითი ხასიათის, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ წარმოადგენს საზოგადოების ეკოლოგიური ასპექტების ზემოქმედების შედეგს.
რისკი	გაურკვევლობის ზემოქმედება მიზნებზე (ეფექტი, რომელსაც გაურკვევლობა ზეგავლენას ახდენს მიზნებზე).
ეკოლოგიური რისკები და შესაძლებლობები	პოტენციური არახელსაყრელი ზეგავლენის (საფრთხე) და პოტენციური ხელსაყრელი ზეგავლენის შესაძლებლობა, რომლებიც წარმოიქმნება გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების შედეგად.

ტერმინები	განსაზღვრება
საკანონმდებლო და სხვა მოთხოვნები	საკანონმდებლო მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს საზოგადოება და სხვა მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილება საზოგადოების ვალდებულებაა ან რომელთა დაკმაყოფილება მის მიერ იქნა არჩეული.
ეკოლოგიური რეზულტატიურობა (ეფექტიურობა)	დაგეგმილი საქმიანობის და დაგეგმილი შედეგების მიღწევის რეალიზაციის ხარისხი.
დაინტერესებული მხარე	პირი ან პირთა ჯგუფი, ორგანიზაცია, რომლებსაც შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ საქმიანობის განხორციელებაზე ან გადაწყვეტილების მიღებაზე, რომლებიც ექვემდებარებიან საქმიანობის შემოქმედებას ან აღიქვამენ თავს ასეთებად.
აუდიტი (ემს-ს მიმართ)	სისტემატური, დამოუკიდებელი და დოკუმენტირებადი პროცესი აუდიტის მოწმობების მისაღებად და მათ ობიექტურად შესაფასებლად, აუდიტის კრიტერიუმებთან შესაბამისობის ხარისხის დადგენის მიზნით.
აუდიტორი	პირი, რომელიც დამოუკიდებელია შესამოწმებელი საქმიანობის მიმართ, სადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია მოქმედებს ისეთნაირად, რომ იყოს თავისუფალი მიკერძოების და ინტერესთა კონფლიქტისგან, ასევე რომელსაც აქვს შესაბამისი კომპეტენცია აუდიტის ჩასატარებლად.
დოკუმენტირებული ინფორმაცია	დოკუმენტირების საშუალებით მატერიალურ მატარებელზე დაფიქსირებული ინფორმაცია რეკვიზიტებით, რომელიც საშუალებას იძლევა ასეთი ინფორმაციის ან მისი მატერიალური მატარებლის განსაზღვრას. <i>ინფორმაცია, რომელიც იქმნება იმისათვის, რომ საზოგადოებამ იმოქმედოს მის შესაბამისად, შეიძლება მოხსენიებული იქნას, როგორც დოკუმენტი.</i>
ჩანაწერი	დოკუმენტი, რომელშიც დაფიქსირებულია მიღწეული შედეგები ან რომელიც შეიცავს რაიმე საქმიანობის შესრულების მოწმობას.
პროცედურა	რაიმე საქმიანობის ან პროცესის განხორციელების კონკრეტიზებული გზა. პროცედურა შეიძლება იყოს ან არ იყოს დოკუმენტირებული.
შეუსაბამობა	მოთხოვნის შეუსრულებლობა.
მაკორექტირებელი მოქმედება (ემს-ს მიმართ)	მოქმედება გამოვლენილი შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად და მისი განმეორებითი წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად.

	სს „თელასის“ ეკოლოგიური პოლიტიკა	შიდა გამოყენებისთვის
---	----------------------------------	-------------------------

2. ზოგადი დებულებები

სს „თელასი“ (შემდგომ - საზოგადოება) - საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს ქ. თბილისის მომხმარებელთა საიმედო და ხარისხიან ენერგომომარაგებას. საზოგადოების მთავარი ფუნქცია შემდეგია:

- სათანადო პარამეტრების მქონე ელექტროენერგიით მომხმარებელთა უსაფრთხო, უწყვეტი და საიმედო მომარაგების უზრუნველყოფა;
- როგორც ელექტროენერგიის ტრანსპორტირების, უსაფრთხო და საიმედო მომარაგების, ისე გამანაწილებელი ქსელის ექსპლუატაციის და მართვის, მოვლა-პატრონობის, განვითარების უზრუნველყოფა;
- მომხმარებლებისთვის და ყველა სახის მიმწოდებლებისთვის მომსახურების გაწევა. სისტემის ოპერატორი ვალდებულია გაუწიოს მიმწოდებელს მომსახურება არადისკრიმინაციულობის პრინციპის შესაბამისად და მომსახურების გაწევის დროს ყველა დააყენოს თანაბარ მდგომარეობაში.

საზოგადოების წინამდებარე პოლიტიკა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის, ეკოლოგიური მართვის საერთაშორისო სტანდარტის ISO 14001:2015, საზოგადოების კორპორაციული მართვის პოლიტიკის და სხვა ადგილობრივი ნორმატიული აქტების შესაბამისად.

ამ პოლიტიკას აქვს გრძელვადიანი ხასიათი და არ არის შეზღუდული დროითი ფარგლებით. მაგრამ საზოგადოების ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მის პერიოდულ გადასინჯვაზე და, საჭიროების შემთხვევაში, განახლებაზე.


ყველა თანამშრომელმა უნდა იცოდეს, ხოლო ორგანიზაციები (კერძო მეწარმეები), რომლებიც საზოგადოებისთვის ასრულებენ გარკვეულ სამუშაოს ან ახორციელებენ მომსახურებას, უნდა გაეცნონ საზოგადოების ეკოლოგიურ პოლიტიკას და გაითვალისწინონ იგი თავის ყოველდღიურ საქმიანობაში.

საზოგადოება უზრუნველყოფს ეკოლოგიური პოლიტიკის კომუნიკაციას ყველა დაინტერესებული მხარისთვის და განათავსებს მას თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

3. დანიშნულება და გამოყენების სფერო

მოცემული პოლიტიკა, რომელიც საზოგადოების ლოკალური ნორმატიული აქტია, ადგენს ეკოლოგიური ასპექტების მართვის და გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, რომელიც განიცდის საწარმოო საქმიანობის ზემოქმედებას, სფეროში ძირითად ვალდებულებებს და საქმიანობის ძირითად რისკებს.

პოლიტიკიდან გამომდინარე, საზოგადოებაში ხორციელდება ეკოლოგიური მიზნების და ეკოლოგიური ამოცანების განსაზღვრა, გარემოს დაცვის კონკრეტული ღონისძიებების

	სს „თელასის“ ეკოლოგიური პოლიტიკა	შიდა გამოყენებისთვის
---	----------------------------------	-------------------------

დაგეგმვა და დანერგვა, ეკოლოგიური ასპექტების და ზეგავლენების მართვის სისტემების ფორმირება და განვითარება, ასევე ეკოლოგიური რეზულტატიურობის (ეფექტურობის) შეფასება.

ეკოლოგიური პოლიტიკა ვრცელდება საზოგადოების ყველა სტრუქტურულ ერთეულზე და რელევანტურია საზოგადოების საქმიანობის ყველა მიმართულებისთვის.

4. ეკოლოგიური პოლიტიკა – ძირითადი დებულებები

პლანეტის ბუნებრივი სიმდიდრის შენარჩუნება საზოგადოებისთვის არის ეკოლოგიური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მდგენელი. მოცემული პოლიტიკის განვითარების ვექტორი მიმართულია ენერგეტიკისა და ეკოლოგიის სფეროში ეფექტურობის ამაღლებისათვის პირობების შექმნაზე. საზოგადოება ცდილობს სტაბილური ეკოლოგიური ბალანსის უზრუნველყოფას საქმიანობის ყველა მიმართულების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოება:

- ღრმად არის დარწმუნებული, რომ საწარმოო საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების კონტროლი და მართვა თავისი ეფექტური საქმიანობის სავალდებულო კომპონენტია და კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ყველა დაინტერესებული მხარის მოთხოვნებისა და მოლოდინის მაქსიმალურად დასაკმაყოფილებლად;
- თავის ყოველდღიურ პროცესებში ერთგულად ემსახურება საუკეთესო ეკოლოგიური პრაქტიკის ინტეგრირების კონცეფციას;
- სრულად აცნობიერებს პასუხისმგებლობას, რომელიც ეკისრება სწორი ეკოლოგიური პრაქტიკის მიღწევასა და მხარდაჭერაზე, ასევე ოპერაციების შესაბამისი დაგეგმვის წარმოებაზე;
- აცნობიერებს, რომ გარემოს დაცვა და ეკოლოგიაზე ზრუნვა წარმოადგენს საქმიანობის განუყოფელ ნაწილს;
- თავის მოვალეობად მიაჩნია აწარმოოს ყველა ძირითადი და დამხმარე პროცესი, მათ შორის მომხმარებელთა უწყვეტი და საიმედო მომარაგება ელექტროენერგიით; უზრუნველყოს ელექტროენერგიის ტრანსპორტირება, გამანაწილებელი ქსელის ექსპლუატაცია და მართვა, მოვლა-ჰატრონობა, განვითარება, ისეთნაირად, რომ არ შეუქმნას საფრთხე გარემოს და არ წარმოქმნას დაუშვებელი რისკი - გარემოზე ნეგატიური ზემოქმედება.

5. სს „თელასის“ ეკოლოგიური პოლიტიკის მიზნებია:

- იმ მოწყობილობების ტექნიკური გადაიარაღება და თანდათანობით შეცვლა, რომლებსაც აქვს დაბალი ტექნიკურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური მაჩვენებლები, თანამედროვე და უფრო ეკონომიურად ეფექტური, ეკოლოგიურად უსაფრთხო მოწყობილობებით;

- საზოგადოების მენეჯმენტსა და პერსონალს, აქციონერებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მოსახლეობას შორის თანხმობის მიღწევა საზოგადოების საწარმოო საქმიანობის ეკოლოგიური უსაფრთხოების, სოციალური პასუხისმგებლობის დონის და მისი ბუნებისდაცვითი საქმიანობის საკითხებში;
- გარემოზე ნეგატიური ტექნოგენური ზემოქმედების მინიმიზაცია ტექნიკურად მისაღწევ და ეკონომიკურად მიზანშეწონილ დონემდე დაყვანა.

ეკოლოგიური პოლიტიკის საქმიანობის ძირითადი პრინციპის რეალიზაციისა და მიზნების მისაღწევად, სს „თელასის“ ხელმძღვანელობა ორიენტირებულია შემდეგზე:

- მუდმივად დააკმაყოფილოს ნებისმიერი შესაბამისი ეროვნული, რეგიონალური და ადგილობრივი კანონმდებლობა, რეგულაციები და წესები, რომლებიც დაკავშირებულია გარემოს დაცვასთან;
- საზოგადოების მთელი პერსონალი ჩართოს ეკოლოგიური რისკების შემცირების, ეკოლოგიური მენეჯმენტის გაუმჯობესების და გარემოს დაცვის სფეროში საწარმოო მაჩვენებლების გაუმჯობესების საქმიანობაში;
- შეესაბამებოდეს ყველა შიდა ნორმატიულ აქტს, სტანდარტს, რეგულაციას და წესებს, რომლებიც ფორმირებული და დანერგულია საზოგადოების ეკოლოგიური ეფექტურობის ხელშესაწყობად;
- თავის ოპერაციებში მაქსიმალურად გაითვალისწინოს ყველა დაინტერესებული მხარის მოთხოვნები და მოლოდინი ეკოლოგიური რეზულტატიურობის (ეფექტურობის) თვალსაზრისით;
- უზრუნველყოს პოზიტიური რეაგირება საზოგადოების გარეთ დაინტერესებასა და კითხვებზე; დრამად შეისწავლოს ნებისმიერი საჩივარი და გადაჭრას ეკოლოგიური პრობლემები ეკონომიკურად ეფექტური მეთოდებით;
- განახორციელოს ეკოლოგიური ასპექტების და ზეგავლენების ინტეგრირება სტრატეგიულ დაგეგმვაში, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და საზოგადოების ყველა ოპერაციაში;
- აწარმოოს ყველა საჭირო დოკუმენტი და ჩანაწერი ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისთვის;
- პერიოდულად შეაფასოს თავისი პროცესების ზემოქმედება გარემოზე და კონტროლის არსებული ზომები, საჭიროების შემთხვევაში, ზეგავლენის შემდგომი შემცირების ან სრული აღმოფხვრის მიზნით, დაგეგმოს და გაატაროს კონტროლის დამატებითი ზომები;
- მუდმივად და თანმიმდევრულად შეამციროს თავის პროცესების ზეგავლენა გარემოზე, ტექნიკურად და ეკონომიკურად ეფექტური მეთოდების გამოყენებით;
- იზრუნოს საზოგადოების თანამშრომელთა ეკოლოგიურ ინფორმირებაზე და ხელი შეუწყოს მათ საპასუხისმგებლო დამოკიდებულებას გარემოს დაცვის მიმართ, თავიანთი სამუშაოს ფარგლებში; უზრუნველყოს პერსონალის სწავლება და ინფორმირებულობა მათი საქმიანობის გარემოზე ზეგავლენასთან დაკავშირებით;
- მუდმივად გააუმჯობესოს ეკოლოგიური ეფექტურობა და შეამციროს უარყოფითი


ზეგავლენა გარემოზე ეკოლოგიური პოლიტიკის და მთლიანად ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის პერიოდული გადასინჯვის გზით, მიმდინარე და მომავალში დაგეგმილი მოქმედებების თვალსაზრისით;

- შეისყიდოს და გამოიყენოს ეკოლოგიურად სუფთა მასალები, სადაც ეს შესაძლებელი და პრაქტიკული კომერციული თვალსაზრისით;
- თავისი მიმწოდებლებისგან და კონტრაქტორებისგან მოითხოვოს ეკოლოგიურად პასუხისმგებლიანი ქცევა;
- იზრუნოს გარემოს დაბინძურების შემცირების საპრევენციო ზომებზე და მასალებისა და რესურსებს ეფექტურ გამოყენებაზე მთელი საზოგადოების მასშტაბით, მათ შორის, წყლის, ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირის, სხვადასხვა სახის ნედლეულის და სხვა მასალების;
- შეამციროს ნარჩენები განმეორებითი გამოყენების, მასალების გადამუშავების და გადამუშავებული, გადასამუშავებელი ან განახლებული პროდუქტების და მასალების შესყიდვის გზით, იმ შემთხვევაში, თუ ხელმისაწვდომია სხვადასხვა ალტერნატივები, რომლებიც მისაღებია ტექნიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით;
- თავიდან აიცილოს სახიფათო ნივთიერებების და მასალების გამოყენება, შეძლებისდაგვარად მოიძიოს ალტერნატიული ვარიანტები და გადადგას ყველა საჭირო და გონივრული ნაბიჯი მოქალაქეების ჯანმრთელობის და გარემოს დასაცავად, იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება ასეთი მასალების გამოყენება, შენახვა, დამარხვა ან უტილიზაცია;
- ყველა შემთხვევაში, როდესაც არსებობს საკანონმდებლო მოთხოვნა ან არსებითი ზეგავლენა გარემოზე, შეიმუშაოს, დანერგოს და მხარი დაუჭიროს საგანგებო სიტუაციებზე, მათ შორის, დამაბინძურებელი სახიფათო ნივთიერებების დაღვრაზე, რეაგირების პროგრამებს;
- განახორციელოს თავისი მიდგომის და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ერთგულების კომუნიკაცია ყველა დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის, კლიენტებისთვის, აქციონერებისთვის, მიმწოდებლებისთვის, კონტრაქტორებისთვის, გარე ორგანიზაციებისთვის და ა.შ. და წაახალისოს მათი მხარდაჭერა.

6. დასკვნა

საზოგადოება პასუხისმგებლობით ეკოდება თავისი ობიექტების გამოყენებასა და ექსპლუატაციას და აცნობიერებს, რომ საწარმოს ცალკეული ქვედანაყოფების ფუნქციონირებამ ისევე, როგორც ნებისმიერმა ანტროპოგენურ საქმიანობამ შეიძლება გამოიწვიოს ნეგატიური ცვლილებები გარემოში.

საზოგადოება ორიენტირებულია თავისი ეკოლოგიური რეზულტატიურობის (ეფექტურობის) მუდმივ ამაღლებაზე, ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის დანერგვის, მხარდაჭერის და გაუმჯობესების გზით, რათა სამეურნეო საქმიანობის ნეგატიური ზემოქმედება გარემოზე დაყვანილი იქნას ტექნიკურად შესაძლებელ მინიმალურ დონემდე,

	სს „თელასის“ ეკოლოგიური პოლიტიკა	შიდა გამოყენებისთვის
---	----------------------------------	-------------------------

პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის საშუალებით, სამეურნეო საქმიანობის წარმოების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის საშუალებით, საკანონმდებლო და სხვა ბუნებისდაცვითი მოთხოვნების შესაბამისად.